სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

26 ივნისი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება №06-01/59

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის
კანდიდატურის შერჩევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების 42-ე მუხლის, „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 02 ივნისის №06-01/50 დადგენილების, ბსუ-ს საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის (№1, 26.06.2025) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 02 ივნისის №06-01/50 დადგენილებით გამოცხადებული და 2025 წლის 26 ივნისს ჩატარებული ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის შესარჩევი ფარული კენჭისყრის შედეგად, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურად შერჩეული იქნეს ბსუ–ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი **ვლადიმერ ღლონტი** (11-წევრიანი შემადგენლობით აკადემიური საბჭოს მიერ 2025 წლის 26 ივნისის სხდომაზე/არჩევნებში მონაწილე აკადემიური საბჭოს 9 წევრის ხმით).

2. წარმომადგენლობით საბჭოს ეთხოვოს განიხილოს აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის დამტკიცების საკითხი.

3. წარმომადგენლობით საბჭოს მიერ ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ბსუ–ს პროფესორ **ვლადიმერ ღლონტის დამტკიცების შემთხვევაში, უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგეს 2025 წლის 25 აგვისტოდან.**

4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს და ბსუ-ს საარჩევნო კომისიას.

6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**